

ამარისაში დემოკრატის მყიფე მფგომარეობა და ამ მოვლენის მნიშვნელობა მსოფლიოსთვის

დევიდ შულცი

პამლაინის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი,
პოლიტიკური მეცნიერების განყოფილება

რეზერვი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან დემოკრატიულ სახელმწიფოდ იქნა აღიარებული. როგორც შიდა მმართველობის, ისე საგარეო პოლიტიკური ქმედებების წყალობით აშშ გლობალური დემოკრატიის ლიდერი და დემოკრატიისთვის მებრძოლი იყო. ხშირად მისი ქმედებები ხელს უწყობდა დემოკრატიზაციასა და დემოკრატიის მშენებლობას. ამერიკა ამას მსოფლიოში ეკონომიკური, სამხედრო და დიპლომატიური უპირატესობის წყალობით ახერხებდა. ოუმცა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აშშ-ში მიმდინარე რამდენიმე შიდა პოლიტიკური და გლობალური ფაქტორიდან გამომდინარე, აშშ-ისთვის სულ უფრო ძნელი ხდებოდა დემოკრატიის მისაბაძ მაგალითად დარჩენილიყო. წინამდებარე სტატია ყურადღებას ზოგიერთ ამ ფაქტორზე ამახვილებს და განიხილავს იმ შედეგებს, თუ რატომ უნდა იყოს მნიშვნელოვანი მსოფლიოსთვის ამერიკული დემოკრატიის მყიფე მდგრმარეობა.

საკვანძო სიტყვები: შეერთებული შტატები; დემოკრატია; საერთაშორისო პოლიტიკა

შესაგალი

პოლიტიკური დემოკრატია მთელ მსოფლიოში სუსტდება. 1960-იან და 1970-იან წლებში, აფრიკის კოლონიზაციის შემდგომ ხანაში, აგრეთვე 1990-იან წლებში, ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩანდა, რომ დემოკრატია აღმავლობის გზას ადგა, დღეს კი საპირისპირო სურათს გხედავთ. „ფრიდომ ჰაუსის“ 2020 წლის ანგარიშის თანახმად, 2005-2020 წლებში შეიმჩნევა თანმიმდევრული ტენდენცია, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტ სახელმწიფო მცირდება დემოკრატიის ქულები ზრდასთან შედარებით, 2020 წელს კი ასეთ სახელმწიფოთა ჩამონათვალში 45 სახელმწიფო შედიოდა (Freedom House 2020). 2005 წელს თავისუფალ სახელმწიფოთა რიცხვი 89-დან 82-მდე შემცირდა, ხოლო იმავე პერიოდში არათავისუფალ სახელმწიფოთა რიცხვი 45-დან 54-მდე გაიზარდა.

გლობალურ დონეზე დემოკრატიის შესუსტების მიზეზი ბევრია. მათ შორისაა

ნაციონალიზმის ზრდა, ეკონომიკური მაჩვენებლები, პროტექციონიზმი და სავჭრო ომები, აგრეთვე ლტოლვილებისა და იმიგრაციების მიმართ შიში. ყველა ამ საკითხმა გამოწვევების წინაშე დააყენა დემოკრატიული სახელმწიფოები და ბევრმა დაიჯერა, რომ შესაძლოა დემოკრატია სულაც არ არის მმართველობის საუკეთესო ფორმა, რომელსაც ამ საკითხების მოგვარება შეუძლია. ბოლო დროს კოვიდის პანდემიამაც გამოცდა მოუწყო დემოკრატიულ რეჟიმებს, როდესაც ვირუსის განსხვავებული შტამების შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა, ნიღბების ტარების გალდებულება, კარანტინები და ბიზნესების დახურვა კი არაპოპულარული გახდა.

ამერიკის შეერთებული შტატებიც იმ სახელმწიფოთა შორისაა, რომელთა დამოკრატიაც გამოწვევების წინაშე დადგა. „ფრიდომ ჰაუსის“ თანახმად, 2013-2021 წლებში აშშ-ის თავისუფლების ქულა 93-დან 83-მდე შემცირდა. 2021 წელს მათ მიერ შეფასებული 210 პოლიტიკურ ერთეულს შორის აშშ დაახლოებით 62-ე ადგილზე იყო. ამჟამად იგივე ხდება დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოთა უმეტესობაში (Freedom House 2020).

ამგვარი დაღმასვლა მოულოდნელია ქვეყნისთვის, რომელიც ერთ დროს საკუთარ თავს მსოფლიოში უდიდეს დემოკრატიულ ქვეყნად ან ცივი ომის დროს თავისუფალი სამყაროს ლიდერად მიიჩნევდა, როდესაც კომუნიზმს უპირისპირდებოდა ან 9/11-ის შემდეგ ტერორიზმს ებრძოდა. ზოგიერთის აზრით, მაგალითად, ფუკუიამასი, 1990-იან წლებში აშშ ბოლო ზესახელმწიფო იყო, რომელმაც არსებობა შეინარჩუნა, მისმა ლიბერალური დემოკრატიის კონცეფციამ კი გაიმარჯვა (Fukuyama 1992). ჩნდება ორი კითხვა: რამ გამოიწვია დემოკრატიის შესუსტება და რატომ არის ეს დანარჩენი მსოფლიოსთვის საყურადღებო? ამ ნაშრომში ვეცდებით, პასუხი გავცეთ ამ ორ კითხვას. ჩვენი მოსაზრებით, აშშ-ში დემოკრატიის შესუსტებას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთაგან ზოგიერთი წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. მეორე, ამერიკული დემოკრატიის მყიფე მდგომარეობა დანარჩენი მსოფლიოსთვისაც იმიტომ არის ყურადსაღები, რომ დემოკრატიის შესუსტების გამო მთელი მსოფლიოსთვის ძნელი იქნება თავისუფლების გამოწვევასთან დაპირისპირება, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ჩინეთი, რუსეთი და სხვა ავტორიტარული სახელმწიფოები.

I. დემოკრატიის განმარტება

შეერთებულ შტატებსა და დასავლეთში მიღებული პოლიტიკური სისტემის ტიპი სამი მიღობის – დემოკრატიის, ლიბერალიზმისა და კონსტიტუციონალიზმის – შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა.

პირველი, დემოკრატიის ცნება საკმაოდ ძველია და ძველ საბერძნეთს უკავშირდება, სადაც ის ხალხის მმართველობის გადაგვარებულ ფორმას წარმოადგენდა. აღნიშნული ტერმინის თანამედროვე კონცეფციები კი XVII საუკუნიდან

გვხვდება, როდესაც დემოკრატია სახალხო მმართველობის ისეთ ფორმას წარმოადგენდა, რომლის დროსაც მართვას უმრავლესობის მმართველობის პრინციპის საფუძველზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, ხალხი ახორციელებდა (Pennock 1979; Pennock, and Chapman 1983). მეორე, „ლიბერალიზმი“, ცნება, რომლის წარმომადგენლების ხშირად ჯონ ლოქს უკავშირებენ, წარმოადგენს პოლიტიკური ღირებულებების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური უფლებების დაცვისკენ, შეთანხმებულ მმართველობაზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემისკენ და შეზღუდული მმართველობის ცნებას ეფუძნება (Pennock, and Chapman 1983; De Ruggiero 1959). მესამე, „კონსტიტუციონალიზმი“, ასევე, ძალიან ქველი ცნებაა. ისიც ძველ საბერძნეთთანაა დაკავშირებული, კერძოდ კი, არისტოტელესთან. ის ეფუძნება ძირითად სტრუქტურებს, „grundnorm“-ს ან წესებს, რომლებისგანაც შედგება მმართველობა. ტერმინი „კონსტიტუციონალიზმი“, რა სახითაცაა ის განვითარებული დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, შეზღუდული უფლებამოსილების მქონე მმართველობას გულისხმობს, რომლის დროსაც, როგორც წესი, უნდა იქნეს დაცული კანონის უზენაესობა, სათანადო სამართლებრივი პროცესის პრინციპი ან ნორმა და ინდივიდუალური უფლებების დაცვის ვალდებულება, ანუ მმართველობის არსებით შეზღუდვას გულისხმობს (McIlwain, 1958).

დემოკრატიული, ლიბერალური და კონსტიტუციური ღირებულებები ერთად განსაზღვრავს იმ უმრავლესობის მმართველობისკენ მიმართულ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელსაც აწონასწორებს უმცირესობის უფლებები, საპროცესო ნორმების დაცვა და გარკვეულ შეზღუდვებს დაქვემდებარებული მმართველობა. ამასთან, ზოგიერთის აზრით, დემოკრატიის ფორმალურ საჭიროებებთან ერთად აუცილებელია დამატებითი ფონური პირობებიც. ამაში შედის ეკონომიკური კეთილდღეობა და მოდერნიზაცია (Lipset 1960 28, 87, 116; Dahl 1971, 60-2; Huntington 1984, 193, 199; Lipset 1959; Lipset 1960; Needler 1968; Rustow 1968; and Rostow 1971); პოლიტიკური მონაწილეობა (Lipset 1960, 116); მთავრობის სამოქალაქო კონტროლი (Diamond 1989, 344, Huntington 1956) და ფართოდ მხარდაჭერილი და რეგულირებული პოლიტიკური მექანიზმები კონფლიქტების მოსაგარებლად (Almond and Verba 1965, 363; Dahl, 1976, 364; Huntington 1984). ისინი ყურადღებას ამახვილებენ დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობაზე, რომელიც ამკვიდრებს შემწყნარებლობასა და გონივრულ ბალანსს როგორც სოციალური კონსენსუსის, ისე შეუთანხმებლობის მიმართ, განსხვავებულობის პატივისცემისა და ამ განსხვავებების პოლიტიკური პროცესის გზით მოგვარების ვალდებულების ჩათვლით (Almond and Verba 1965, 363; Lipset 1960, 1, 4, 78, 250; Dahl 1971, 105; Dahl 1960, 347; Christoph 1965). დასასრულ, დემოკრატიის შესახებ ზოგიერთი ოქონია საზს უსვამს, რომ აღნიშნულ ღირებულებებს ელიტის ან მასის მხარდაჭერა სჭირდება. ოდონელი და შმიტერი (1986 წ.) ზემოთქმულის საპირისპიროდ

ამტკიცებენ, რომ დემოკრატია ელიტაში არსებული კონფლიქტის შედეგია. როდესაც ელიტა იყოფა, ეს წარმოშობს მიზეზებს დემოკრატიის მხარდასაჭერად. არსებობს საპირისპირო ოეორიები, რომელთა მტკიცებით დემოკრატია ქვედა ფენებიდან მომდინარეობს და მის წარმოშობას მასობრივი პროტესტის ან მობილიზაციის დროს წამოყენებული მუშაკთა მოთხოვნები განაპირობებს. მთლიანობაში, ლიბერალური დემოკრატია ღირებულებათა, პრაქტიკისა და ინსტიტუტთა ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობითაც ხალხის არჩევანი მმართველობის პოლიტიკაში აისახება გარკვეული შეზღუდვებით, რათა დაცულ იქნეს უმცირესობის უფლებები.

ზოგადად, ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიულ, ლიბერალურ და კონსტიტუციურ ღირებულებებს იზიარებს, რომლებიც მის პოლიტიკურ ტრადიციებს აყალიბებს. როგორც 1787 წელს მიიჩნევდნენ, მისი კონსტიტუცია, კერძოდ, იმ პოლიტიკურ ღირებულებებს ემყარება, რომლებიც ლიბერალურ, რესპუბლიკურ და სამართლებრივ ტრადიციებში გვხვდება, რომლებსაც ჯონ ლოკს, ჯეიმს ჰარინგტონსა და უილიამ ბლექსტოუნს უნდა გუმადლოდეთ. ამერიკული მმართველობის თავდაპირველ ლოგიკას ხშირად მედისონისეულ დემოკრატიას უწოდებენ, რომელიც ჯეიმს მედისონს, კონსტიტუციის ერთ-ერთ მთავარ ავტორს, უკავშირდება.

მედისონისეული დემოკრატია წარმოჩენილია როგორც მმართველობა, რომელიც შეიქმნა უმრავლესობის ტირანიის თავიდან ასაცილებლად (Dahl 1956). ის ამას ახერხებს პოლიტიკური ძალაუფლების დაყოფისა და კონტროლის კომპლექსური პროცესის მეშვეობით, რომლითაც იზღუდება უმრავლესობის შესაძლებლობა, უგულებელყოს უმცირესობის უფლებები. ამერიკული დემოკრატიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უმრავლესობებს ეძლევათ თავიანთი არჩევანის სახელმწიფო ძალაუფლებაში ასახვის შესაძლებლობა და, ამასთან, ეზღუდებათ ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

რამდენადაც ამერიკა დროთა განმავლობაში ვითარდებოდა, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ დროთა განმავლობაში ის უფრო დემოკრატიულიც გახდა. ზოგი კი ამტკიცებს, რომ აშშ-ის თავდაპირველი კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა დემოკრატიული არ იყო, რადგან არსებობდა მონობა და არ არსებობდა კონსტიტუციური ფორმულირება, რომელიც, მათ შორის, საარჩევნო ხმის უფლებას დაიცავდა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს აშშ ნამდვილად იქნა აღიარებული მსოფლიოში, შეიძლება ითქვას, ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოდ და მან საკუთარ თავზე აიღო მსოფლიოში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების როლი. 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევისა და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისას ბევრი აშშ-ს უყურებდა როგორც სახელმწიფოს, რომელმაც ცივი ომი მოიგო და ერთპოლუსიანი მსოფლიოს ლიდერი გახდა და რომელიც მხარს უჭერდა დემოკრატიას.

II. შემორჩენილი შტატები და დემოკრატიის შესუსტება

პიკი მიღწეული იქნა 1990-იან წლებში, როდესაც აშშ ერთადერთ არსებულ ზე-სახელმწიფოდ განიხილებოდა (Fukuyama 1992). ასევე, მიიჩნეოდა, რომ აშშ მთელ მსოფლიოში დემოკრატიულ ღირებულებებსა და ინსტიტუტებს უჭერდა მხარს, ისახავდა რა მიზნად პოსტსაბჭოთა თუ კომუნისტური სახელმწიფოების დემოკრატიულ სახელმწიფოებად გარდაქმნის ხელშეწყობას და აქტიურად გა-ნაგრძობდა არადემოკრატიული რეჯიმების შეცვლის წახალისებას (Hock 2019). თუმცა, როგორც შესავალში აღინიშნა, XXI საუკუნე ჯერჯერობით არც ისე კუ-თილგანწყობილია დემოკრატიის მიმართ ამერიკაში. მისი მსოფლიო რეიტინგი დაეცა. რატომ? ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

ეკონომიკური უთანასწორობა და ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია. თო-მას პიკები (2014 წ.) აღნიშნავს, რომ 1920-იან წლებში შეერთებულ შტატებ-ში მკვეთრად გაიზარდა ეკონომიკური უთანასწორობა და ის მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემცირდა. რამდენიმე შედეგის ერთობლიობამ, ომის ეკონომიკური დეზორგანიზაციისა და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებ-ლების ჩათვლით, უთანასწორობა მნიშვნელოვნად შეამცირა. თუმცა, 1970-იანი წლებისთვის მან კვლავ დაიწყო ზრდა და მას შემდეგ შეიმჩნევა, რომ დღეისათ-ვის აშშ-ში მდიდრებებსა და დარიბებს შორის განსხვავება რეკორდულ დონეს აღწევს. მაგალითად, „შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუ-როს“ თანახმად, 2010 წელს უმდიდრესი მოსახლეობის 5%-ზე მოდიოდა შემო-სავლის 21%, ხოლო 20%-ზე – ქვეყნის საერთო შემოსავლის 50%-ზე მეტი. შე-დარებისთვის, ქვედა კვინტილზე საერთო შემოსავლის დაახლოებით 3% მოდი-ოდა (U.S. Census 2010).

2010 წელს „ბიუჯეტისა და პოლიტიკური პრიორიტეტების ცენტრის“ მიერ ჩატა-რებულმა მეორე კვლევამ, რომელიც „კონგრესის საბიუჯეტო ოფისის“ კვლევას ეყრდნობოდა, აჩვენა, რომ შემოსავლებს შორის განსხვავება მოსახლეობის ზე-და ერთ პროცენტსა და ყველა დანარჩენს შორის 1973 წლის შემდეგ სამჯერ და მეტად გაიზარდა (Goldberg 2012). ზედა ერთი პროცენტის დაბეგრილი შემოსა-ვალი 281%-ით გაიზარდა 1973-2007 წლებში, მაშინ როდესაც საშუალო კლა-სის ან საშუალო კვინტილის შემთხვევაში – 25%-ით, ხოლო ქვედა კვინტილის შემთხვევაში მხოლოდ 16%-ს შეადგინდა. შემოსავალს რომ თავი დავანებოთ და სიმდიდრის განაწილებას გადავხედოთ, ასეთი არათანაბარი განაწილება 1920-იანი წლების შემდეგ არ ყოფილა. „ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის“ თა-ნახმად, 2007 წელს ქვეყანაში სიმდიდრის თითქმის 34%-ს ზედა ერთი პროცენტი აკონტროლებდა, მოსახლეობის ნახევარი კი სიმდიდრის 3%-ზე ნაკლებს ფლობ-და. 2008 წლის დიდი რეცესიის შემდეგ ეკონომიკური სარგებლის უდიდესი ნა-წილი მდიდრების ხელში აღმოჩნდა. მსგავსი ვითარება შეიქმნა პანდემიის დრო-საც, რომელიც 2019 წელს დაიწყო (Gould 2019).

ამავდროულად, აშშ-ში შესუსტდა ეკონომიკური მობილობა. სხვა დასავლეთ ევროპული სტილის მთავრობებთან შედარებით, შეერთებულ შტატებში უველაზე სუსტი მობილობაა (DeLeire and Lopoo 2010). მარტივად რომ ვთქვათ, 1970-იანი წლებიდან ეკონომიკური უთანასწორობა გაიზარდა, ხოლო სოციალური მობილობა შემცირდა. ამ ორი მოვლენის მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის, პროფესიული გაუქმება, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მოშლა, წარმოების ზარალი და ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, რომელმაც უვალაზე მეტად დარიბებსა და საშუალო ფენას დაარტყა.

უველა ამ ეკონომიკურ ცვლილებას პოლიტიკური შედეგები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მათი დაკავშირება შეუძლებელია, აღნიშნული ცვლილებები აშშ-ის პოლიტიკური სისტემისადმი ნდობის შესუსტებასთანაა დაკავშირებული, რადგან ბევრს ეჭვი უჩნდება, რომ მთავრობა მათ ინტერესებს არ ემსახურება. ფაქტობრივად კვლევებმა ცხადყო, რომ კანონმდებლობა არ ასახავს საზოგადოების პოლიტიკურ არჩევანს. ამასთან, ეკონომიკურ პოლარიზაციას გეოგრაფიული პოლარიზაციაც მოჰყვა. მდიდრები და დარიბები სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ და ერთმანეთთან აღარ ურთიერთობენ (Bishop 2009).

პოლიტიკური პოლარიზაცია. ახლა კი ეკონომიკური და გეოგრაფიული პოლარიზაცია პოლიტიკურ პოლარიზაციას იწვევს. ამერიკა სულ უფრო იყოფა მეტოქე პოლიტიკურ ბანაკებად, რომელთაც რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები წარმოადგენენ. აშშ-ში ეკონომიკური დაყოფის საფუძველზე წარმოქმნილ დრმა პოლიტიკურ პოლარიზაციაზე უამრავი კვლევა მიუთითებს, თუმცა ის რასობრივი თუ პოლიტიკური არჩევანითაცაა განპირობებული (Klein 2020; Hajinal 2020; Enos 2017; Marietta and Barker 2019). პოლარიზაცია განაპირობა დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ და პოლიტიკური მოძრაობის წარმოშობამ. ამ ორმა აშშ-ში რესპუბლიკურ პარტიის სძლია. ეს მოძრაობა სკეპტიკურად უყურებდა ორი მთავარი პარტიის სურვილსა თუ შესაძლებლობას, თავდაპირველად თეორი, კავკასიური რასის იმ წარმომადგენელთა (muSaTa კლასის) ინტერესები ყოფილიყო დაცული, რომელთაც უმაღლესი განათლება არ ჰქონდათ. ამის გამო მუშაობა კლასიდან კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდა დონალდ ტრამპისა და მის მიერ მსარდაჭერილი ეკონომიკური, რასობრივი და ნაციონალისტური პოლიტიკის მომხრეთა რიგებში.

ერთ-ერთი შედეგი, რაც ამ პოლიტიკური მოძრაობის საქმიანობას მოჰყვა იყო შტურმი კაპიტოლიუმზე 2021 წლის 6 იანვარს. ისინი იმ რწმენით მოქმედებდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მოპპარეს. აშშ-ის ისტორიაში ეს კაპიტოლიუმზე იურიშის მხოლოდ მეორე შემთხვევაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამ მოვლენით დაირღვა აშშ-ში 1800 წლიდან არსებული ტრადიცია, როდესაც წაგებული პარტია არჩევნების ლეგიტიმურობასა და წაგებას აღიარებს. მას შემდეგ გამოკითხვებიც ადასტურებს, რომ აშშ-ში არჩევნების სამართლია-

ნობის რწმენა შეირყა, როდესაც რესპუბლიკური პარტია ქვეყნის მასშტაბით სა-არჩევნო ხმის უფლებების შეზღუდვას შეეცადა.

დასასრულ, პოლარიზაციის გამო აშშ-ის ეროვნულ ხელისუფლებას უკვე უჭირს ისეთი კანონების გამოცემა ან დამტკიცება, რომლებიც ქვეყანაში საარ-ჩევნო ხმის უფლებას დაიცავს ან ეკონომიკურ უთანასწორობას მოაგვარებს. ფაქტობრივად, აშშ-მ ვერ მოახერხა ყველაზე მწვავე პრობლემების მოგვარება. მთლიანობაში, ბევრი რამ მიანიშნებს, რომ ქვეყნის შიგნით აშშ-ის პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ხალხისა თუ ელიტის მიერ პოლიტიკური დირექტულებების მხარდაჭერა იკლებს.

III. დასკვნა, თუ რატომაა შურალსაღვაი ამარიკის

დემოკრატიის შესუსტება

აშშ-ის მიერ 1989 და 1991 წლებში მიღწეული ერთპოლუსიანობა დასრულდა. ეს სულ უფრო ნაკლებად ჰგავს იმას, რომ ისტორია დასრულდა და ამერიკა გამარჯვებულია. აშშ-მ ხელიდან გაუშვა ამერიკული საუკუნის მომენტი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტი მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარს შეადგენდა. დღეს მას მეტოქეობას ევროპავშირი და ჩინეთი უწევს და შესაძლოა მალე ორივემ აჯობოს. წინა პლანზე BRICS-ის ქვეყნების გამოსვლა იმ სახელმწიფოთა გაერთიანებას მოასწავებს, რომელთაც ამერიკის უპირატესობის აღიარება არ სურთ. რუსეთში იმ ფაქტს, რომ პუტინი საბჭოთა კავშირის დაშლას სტირის, XX საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად მიიჩნევენ. მან, როგორც ჩანს, დაკარგული იმპერიის აღდგენა მოიწადინა. ეკრაზის ეკონომიკური კავშირის, ბელორუსთან გაერთიანების ან თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და უკრაინის საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევის მცდელობის ფონზე რუსეთი მთავარ მოთამაშედ რჩება.

ჩინეთიც ცდის აშშ-ის გლობალურ ბატონობას. „ერთი სარტყელი – ერთი გზის ინიციატივით“ ის საკუთარი ეკონომიკური გავლენის მსოფლიოში განვრცობას ცდილობს. წყნარი ოკეანის ქვეყნებში მისი მზარდი სამხედრო თავდაჯერებულობა, პონგ-კონგში თვითმმართველობის ჩახშობა, ტაივანის დამოუკიდებლობასთან შეუგუებლობა და გაერთიანების საკითხის სწრაფად გადაწყვეტის სურვილი – ეს ყველაფერი აშშ-ის უპირატესობის გამოწვევაზე მეტყველებს. ამასთან, დონალდ ტრამპის მმართველობის დროს მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ აშშ-ის მზადყოფნაში ეჭვი შეიტანა და ისეთ ორგანიზაციებს მიმართავს, როგორიცაა ნატო. უკრაინის კონფლიქტი და ჯობაიდენის განცხადება, რომ ის არ აპირებს უკრაინაში ჯარების გაგზავნას რუსეთის შეჭრის შემთხვევაში, ბადებს კითხვას, შეაჩერებს თუ არა ეს რუსეთს. თუმცა, განსაკუთრებით, ავღანეთიდან ნაუცხადევი გამოსვლის შემდეგ მსოფლიოში

ბევრი კითხვა გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ რისთვის იბრძოლებს ახლა აშშ და ნატოს წევრი ისეთი პატარა ქვეყანაც კი, როგორიც ლიეტუვაა, უკვე ეჭვობს, რომ ევროპა მარტო დარჩა. დასასრულ, დემოკრატია შეასუსტა ტრამპის დროს აშშ-ს შიდა საკითხებზე ორიენტირებამ და ბაიდენის ამჟამინდელმა ქმედებებმა. „ფრიდომ ჰაუსი“ აღნიშნავს, რომ დემოკრატია და ინდივიდუალური უფლებები, მათ შორის, აშშ-ში, უკვე რამდენიმე წელია სუსტდება. ლიბერალიზმი იზრდება და, როგორც ჩანს, ბევრი არაფერი კეთდება მის საპირისპიროდ. ის, რაც რადაც მომენტში ჩანდა, თითქოს მსოფლიოში დემოკრატიამ და ამერიკულმა დირებულებებმა გაიმარჯვა, დღეს ნაკლებად სარწმუნოა.

რატომ არის მნიშვნელოვანი ეს გამოწვევა მსოფლიოში ამერიკის სტატუსისთვის? ისტორიულად ან, ყოველ შემთხვევაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლიბერალურ-დემოკრატიული დირებულებების მხარდაჭერა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრინციპს წარმოადგენდა. აშშ-ის შიდა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, მათ შორის, პოლიტიკურმა კონსენსუსმა ან ქვეყნის შიგნით დემოკრატიული დირებულებებისადმი ერთგულებამ, მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებას შეუწყო ხელი (Small 1995). ახლა, როდესაც აშშ-ში შიდა დაყოფაა და მისი დემოკრატიისადმი ერთგულება ეჭვებებ დადგა, უკვე საკითხავია, შეძლებს თუ არა ის დემოკრატიის დაცვას მსოფლიოში. ეს სულაც არ არის კარგი სიახლე ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველო ან უკრაინაა, რადგან ამ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეების გასაკონტროლებლად აშშ-ის მხარდაჭერას ორივე საჭიროებს. ამასთან, ვინაიდან აშშ-ს ბევრ ფრონტზე უწევს ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიო მასშტაბით, სავარაუდოდ, ვეღარ მოახერხებს დახმარების გაწევას მსოფლიოში იმ საფრთხეების აღმოსაფხვრელად, რომელთა წინაშეც დემოკრატია დგას. მარტივად რომ ვთქვათ, აშშ-ში დემოკრატიის სიმყიფემ ამერიკის რეპუტაცია და სტატუსი საერთაშორისო დონეზე შეარყია და მას, უბრალოდ, აღარ ძალუს იყოს მისაბამი მაგალითი დემოკრატიული დირებულებებისა და ინსტიტუტების დაცვის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Almond, Gabriel A., and Sidney Verba. 1963. *The Civic Culture*. Boston: Little Brown.
2. Bishop, Bill. 2009. *The Big Sort: Why the Clustering of Like-Minded America is Tearing Us Apart*. New York: Mariner Books.
3. Christoph, James B. 1965. “Consensus and Cleavage in British Political Ideology,” *American Political Science Review* 59: 629 – 642.
4. Dahl, Robert A. 1956. *A Preface to Democracy Theory*. Chicago: University of Chicago Press.

5. Dahl, Robert A. 1971. *Polyarchy: Participation and Opposition*. New Haven: Yale University Press.
6. Dahl, Robert A. 1976. *Democracy in the United States: Promise and Performance*. New Haven: Yale University Press.
7. DeLeire, Thomas, and Leonardo M. Lopoo. 2010. *Family Structure and the Economic Mobility of Children*. Washington, D.C. Pew Charitable Trust.
8. De Ruggiero, Guido. 1959. *The History of European Liberalism*. Boston: Beacon Press.
9. Diamond, Larry, et al., eds. 1989. *Democracy in Developing Countries: Latin America*. Boulder, Colorado: Lynn Reinner.
10. Enos, Ryan D. 2017. *The Space Between Us: Social Geography and Politics*. New York: Cambridge University Press.
11. Freedom House. 2020. *Freedom in the World 2020*.
12. Fukuyama, Francis. 1992. *The End of History and the Last Man*. New York: Free Press.
13. Goldberg, G. S. (2012). “Economic Inequality and Economic Crisis: A Challenge for Social Workers.” *Social Work*, 57(3), 211–224.
14. Gould, Elise. 2019. *Decades of Rising Economic Inequality in the U.S.* Testimony before the U.S. House of Representatives Ways and Means Committee (March 27).
15. Hajnal, Zoltan L. 2020. *Dangerously Divided: How Race and Class Shape Winning and Losing in American Politics*. New York: Cambridge University Press.
16. Hook, Steven W. 2019. *U.S. Foreign Policy: The Paradox of World Power*. Thousand Oaks, CA: CQ Press.
17. Huntington, Samuel P. 1984. Will More Countries become Democratic? *Political Science Review* 99: pp. 193-199.
18. Huntington, Samuel P. 1956. Civilian Control and the Constitution. *American Political Science Review* 50: pp. 676-699.
19. Klein, Ezra. 2020. *Why We're Polarized*. New York: Simon & Schuster.
20. Lipset, Seymour M. 1960. *Political Man: The Social Bases of Politics*. New York: Anchor Books.
21. Lipset, Seymour M. 1959. “Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy.” *American Political Science Review*. 53: 69-105.
22. Marietta, Morgan, and David C. Barker. 2019. *One Nation, Two Realities: Dueling Facts in American Democracy*. New York: Oxford University Press.
23. McIlwain, Charles Howard. 1958. *Constitutionalism: Ancient and Modern*. Ithaca, NY: Great Seal Books.
24. Needler, Martin C. 1968. “Political Development and Socioeconomic Development: The Case of Latin America.” *American Political Science Review* 62: 889-897.
25. O'Donnell, Guillermo, and Phillip C. Schmitter. 1986. “Tentative Conclusions About Uncertain Democracies (part 4).” In *Transitions From Authoritarian Rule* “Prospects for Democracy”, edited by , Guillermo O'Donnell, Phillip C. Schmitter, and Lawrence Whitehead. Baltimore, MD: The Johns Hopkins University Press, pp. 3-78.

26. Pennock, J. Roland and John W. Chapman. 1979. *Constitutionalism*. NY: NYU Press.
27. Pennock, J. Roland and John W. Chapman. 1983. *Liberal Democracy*. NY: NYU Press.
28. Pennock, J. Roland. 1979. *Democratic Political Theory*. Princeton: Princeton University Press.
29. Piketty, Thomas. 2014. *Capital in the Twenty First Century*. Cambridge, MA: Belknap Press.
30. Rostow, W.W. 1971. *The Stages of Economic Growth*. Cambridge: Cambridge University Press.
31. Rueschemeyer, Dietrich, Evelyne Huber Stephens, and John Stephens. 1992. *Capitalist Development and Democracy*. Chicago: University of Chicago Press.
32. Rustow, Dankwart A. 1968. “Modernization and Comparative Politics: Prospects in Research and Theory.” *Comparative Politics*. 1: pp. 37-51.
33. Small, Melvin. 1995. *Democracy and Diplomacy: The Impact of Domestic Politics in U.S. Foreign Policy, 1789-1994*. Baltimore, MD: Johns Hopkins University Press.
34. United States Census Bureau. 2010. *Income, Poverty, and Health Insurance Coverage in the United States: 2010*. Washington, D.C.